



## შპს “ახალი ქსელები”

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა  
და  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
მომზადებული  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

## შინაარსი

|                                                                                       |    |
|---------------------------------------------------------------------------------------|----|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....                                                  | 3  |
| კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....                              | 7  |
| კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება .....                                    | 8  |
| კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....                           | 9  |
| კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....                        | 10 |
| ახსნა-განმარტებითი შენიშვნები .....                                                   | 11 |
| 1. ჯგუფი და მისი საქმიანობა .....                                                     | 11 |
| 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა .....                           | 11 |
| 3. ძირითადი საშუალებები .....                                                         | 17 |
| 4. არამატერიალური აქტივები .....                                                      | 18 |
| 5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.....                                             | 18 |
| 6. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.....                                        | 18 |
| 7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....                                         | 19 |
| 8. ნასესხები საშუალებები .....                                                        | 19 |
| 9. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება .....                                      | 20 |
| 10. შემოსავალი რეალიზაციიდან .....                                                    | 20 |
| 11. გაყიდვების თვითღირებულება .....                                                   | 20 |
| 12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები .....                                           | 21 |
| 13. ფინანსური ხარჯი (ნეტო).....                                                       | 21 |
| 14. სხვა მოგება (ნეტო).....                                                           | 21 |
| 15. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები.....                                 | 21 |
| 16. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან .....                               | 22 |
| 17. ფინანსური ინსტრუმენტები.....                                                      | 24 |
| 18. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები.....                          | 24 |
| მმართველობითი ანგარიში.....                                                           | 26 |
| 1. ჯგუფი და მისი დამფუძნებლები .....                                                  | 26 |
| 2. ჯგუფის საქმიანობა, მდგომარეობის მიმოხილვა .....                                    | 26 |
| 3. ჯგუფის სტრატეგია და მიზნები .....                                                  | 29 |
| 4. ჯგუფში შემავალი კომპანიების რისკები.....                                           | 31 |
| 5. ჯგუფში შემავალი კომპანიის თანამშრომლები, უსაფრთხოების და გარემოს დაცვა.....        | 32 |
| 6. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებები..... | 33 |

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა****დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

შპს “ახალი ქსელები”-ს დამფუძნებლებს

**მოსაზრება**

ჩავატარეთ შპს “ახალი ქსელები”-სა და მისი შვილობილი საწარმოს (შემდგომში, ტექსტში, ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებათაგან, ასევე, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, მსს ფასს) შესაბამისად.

**მოსაზრების საფუძველი**

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

**ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა**

გვსურს, თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების 2.16 -ე შენიშვნის - **საწარმოს უწყვეტობის პრინციპი** - ნაწილზე, რომელიც ასახავს, რომ: „ჯგუფს ერიცხება მოკლევადიანი ვალდებულებები 23,186 ოდენობით. კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებების უმნიშვნელოვანესი ნაწილი 17,683 - წარმოადგენს ვალდებულებას ჯგუფის დედა კომპანიის ერთ-ერთი (10 პროცენტის წილის მფლობელის) დამფუძნებლებისა და მის მიერ ერთობლივად კონტროლირებად საწარმოს მიმართ. ეს ორივე კომპანია ამავე დროს წარმოადგენს შპს “ახალი ქსელებთან” ერთად საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ პირებს. ჯგუფის მენეჯმენტი თვლის, რომ შეძლებს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ პირებთან და სხვა კრედიტორებთან დავალიანების დაფარვის ისეთი პოლიტიკის შეჯერებას, რომელიც არ შეაფერხებს კომპანიის მომავალ ჩვეულებრივ პირობებში ოპერირებას. ამ პირობების გათვალისწინებით, მენეჯმენტი თვლის, რომ „ფუნქციონირების უწყვეტობის“ დაშვება მართებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.“ ეს მოვლენები მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს ჯგუფის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებაში.

## მნიშვნელოვანი გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების შემდეგ შენიშვნებზე:

**ფინანსური ანგარიშგების 18-ე შენიშვნაზე (ბალანსის შედგენის შემდეგ მომზადარი მოვლენები),** რომლებშიც მოცემულია შპს „ახალი ქსელების“ ჯგუფის დედა კომპანიის მიერ, თავისი ერთადერთი შვილობილი კომპანიის შერწყმის გეგმების დეტალები;

**ფინანსური ანგარიშგების 15.1-ე შენიშვნაზე (სასამართლო დავა კონტრაგენტთან),** რომლებშიც მოცემულია კონტრაგენტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სასამართლო საქმის დეტალები;

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხებთან მიმართებით.

## სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის მიერ 2021 წლის 28 მაისით დათარიღებული მმართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 24-ე გვერდის შემდეგ, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას და, გარდა, ქვემოთ, - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა, არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა, ქვემოთ, - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

## ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ, თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ, კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რამე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და, ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

#### **დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები**

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომში, ტექსტში, კანონი) ჯგუფი პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2021 წლის 28 მაისით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 24-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობითი ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, ჯგუფის საქმიანობის მოცულობისა და

სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2021 წლის 28 მაისი, თბილისი, საქართველო

სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.


ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2021 წლის 28 მაისი, თბილისი, საქართველო



შპს “ახალი ქსელები” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

|                                               | შენიშვნა | 31.12.2020    | 31.12.2019    |
|-----------------------------------------------|----------|---------------|---------------|
| <b>აქტივები</b>                               |          |               |               |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                  |          |               |               |
| ძირითადი საშუალებები                          | 3        | 26,948        | 26,807        |
| არამატერიალური აქტივები                       | 4        | 60            | 61            |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>              |          | <b>27,008</b> | <b>26,868</b> |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                  |          |               |               |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობები             | 5        | 1,767         | 1,675         |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება        | 6        | 558           | 1,478         |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები         | 7        | 111           | 206           |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>              |          | <b>2,436</b>  | <b>3,359</b>  |
| <b>სულ აქტივები</b>                           |          | <b>29,444</b> | <b>30,227</b> |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |          |               |               |
| საწესდებო კაპიტალი                            |          | 56            | 56            |
| გაუნაწილებელი მოგება                          |          | 3,629         | 3,274         |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                  |          | <b>3,685</b>  | <b>3,330</b>  |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>             |          |               |               |
| გრძელვადიანი სესხები                          | 8        | 2,573         | 3,714         |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>         |          | <b>2,573</b>  | <b>3,714</b>  |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>             |          |               |               |
| მოკლევადიანი სესხები                          | 8        | 1,776         | 2,054         |
| გადასახდელი დივიდენდები                       |          | 832           | 861           |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება       | 9        | 20,211        | 20,036        |
| საგადასახადო ვალდებულებები                    |          | 367           | 232           |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>         |          | <b>23,186</b> | <b>23,183</b> |
| <b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b> |          | <b>29,444</b> | <b>30,227</b> |

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2021 წლის 28 მაისს.

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ მარინე კილაძე, ფინანსური დირექტორი

შპს "ახალი ქსელები" კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

|                                               | შენიშვნა | 31.12.2020    | 31.12.2019    |
|-----------------------------------------------|----------|---------------|---------------|
| <b>აქტივები</b>                               |          |               |               |
| გრძელვადიანი აქტივები                         |          |               |               |
| ძირითადი საშუალებები                          | 3        | 26,948        | 26,807        |
| არამატერიალური აქტივები                       | 4        | 60            | 61            |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>              |          | <b>27,008</b> | <b>26,868</b> |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                  |          |               |               |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობები             | 5        | 1,767         | 1,675         |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება        | 6        | 558           | 1,478         |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები         | 7        | 111           | 206           |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>              |          | <b>2,436</b>  | <b>3,359</b>  |
| <b>სულ აქტივები</b>                           |          | <b>29,444</b> | <b>30,227</b> |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |          |               |               |
| საწესდებო კაპიტალი                            |          | 56            | 56            |
| გაუნაწილებელი მოგება                          |          | 3,629         | 3,274         |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                  |          | <b>3,685</b>  | <b>3,330</b>  |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>             |          |               |               |
| გრძელვადიანი სესხები                          | 8        | 2,573         | 3,714         |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>         |          | <b>2,573</b>  | <b>3,714</b>  |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>             |          |               |               |
| მოკლევადიანი სესხები                          | 8        | 1,776         | 2,054         |
| გადასახდელი დივიდენდები                       |          | 832           | 861           |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება       | 9        | 20,211        | 20,036        |
| საგადასახადო ვალდებულებები                    |          | 367           | 232           |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>         |          | <b>23,186</b> | <b>23,183</b> |
| <b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b> |          | <b>29,444</b> | <b>30,227</b> |

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2021 წლის 28 მაისს.

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ მარინე კილაძე, ფინანსური დირექტორი



შპს “ახალი ქსელები” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

|                                   | შენიშვნა | 31.12.2020<br>დასრულებული<br>წლისათვის | 31.12.2019<br>დასრულებული<br>წლისათვის |
|-----------------------------------|----------|----------------------------------------|----------------------------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან          | 10       | 17,914                                 | 19,509                                 |
| გაყიდვების თვითღირებულება         | 11       | (14,580)                               | (14,277)                               |
| <b>საერთო მოგება</b>              |          | <b>3,334</b>                           | <b>5,232</b>                           |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | 12       | (3,548)                                | (3,462)                                |
| ფინანსური ხარჯი (ნეტო)            | 13       | (653)                                  | (1,066)                                |
| სხვა მოგება                       | 14       | 1,222                                  | 326                                    |
| <b>მიმდინარე წლის მოგება</b>      |          | <b>355</b>                             | <b>1,030</b>                           |

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2021 წლის 28 მაისს.

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ მარინე კილაძე, ფინანსური დირექტორი

შპს "ახალი ქსელები" კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

|                                   | შენიშვნა | 31.12.2020<br>დასრულებული<br>წლისათვის | 31.12.2019<br>დასრულებული<br>წლისათვის |
|-----------------------------------|----------|----------------------------------------|----------------------------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან          | 10       | 17,914                                 | 19,509                                 |
| გაყიდვების თვითღირებულება         | 11       | (14,580)                               | (14,277)                               |
| <b>საერთო მოგება</b>              |          | <b>3,334</b>                           | <b>5,232</b>                           |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | 12       | (3,548)                                | (3,462)                                |
| ფინანსური ხარჯი (ნეტო)            | 13       | (653)                                  | (1,066)                                |
| სხვა მოგება                       | 14       | 1,222                                  | 326                                    |
| <b>მიმდინარე წლის მოგება</b>      |          | <b>355</b>                             | <b>1,030</b>                           |

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2021 წლის 28 მაისს.

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ მარინე კილაძე, ფინანსური დირექტორი



შპს “ახალი ქსელები” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება**

|                                                                                          | 31.12.2020<br>დასრულებული<br>წლისათვის | 31.12.2019<br>დასრულებული<br>წლისათვის |
|------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------|----------------------------------------|
| <b>ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან</b>                                  |                                        |                                        |
| მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები                                               | 21,892                                 | 25,568                                 |
| მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები                         | (19,200)                               | (18,391)                               |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები</b>                                 | <b>2,692</b>                           | <b>7,177</b>                           |
| გადახდილი პროცენტი                                                                       | (618)                                  | (831)                                  |
| <b>საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები</b>                           | <b>2,074</b>                           | <b>6,346</b>                           |
| <b>ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                |                                        |                                        |
| ძირითადი საშუალებების შეძენა/შეწესება                                                    | (663)                                  | (169)                                  |
| ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები                             | -                                      | 57                                     |
| <b>საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები</b>                    | <b>(663)</b>                           | <b>(112)</b>                           |
| <b>ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან</b>                                   |                                        |                                        |
| მიღებული სესხი                                                                           | 605                                    | 3,386                                  |
| სესხის ძირის დაფარვა                                                                     | (2,063)                                | (9,415)                                |
| გადახდილი დივიდენდი                                                                      | (29)                                   | (50)                                   |
| <b>საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები</b>                       | <b>(1,487)</b>                         | <b>(6,079)</b>                         |
| <b>ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)</b>                    | <b>(76)</b>                            | <b>155</b>                             |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში                                    | 206                                    | 69                                     |
| უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე | (19)                                   | (18)                                   |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>                                  | <b>111</b>                             | <b>206</b>                             |

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2021 წლის 28 მაისს.

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ მარინე კილაძე, ფინანსური დირექტორი

შპს "ახალი ქსელები" კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

|                                                                                          | 31.12.2020<br>დასრულებული<br>წლისათვის | 31.12.2019<br>დასრულებული<br>წლისათვის |
|------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------|----------------------------------------|
| ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან                                         |                                        |                                        |
| მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები                                               | 21,892                                 | 25,568                                 |
| მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები                         | (19,200)                               | (18,391)                               |
| საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები                                        | 2,692                                  | 7,177                                  |
| გადახდილი პროცენტი                                                                       | (618)                                  | (831)                                  |
| საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები                                  | 2,074                                  | 6,346                                  |
| ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან                                       |                                        |                                        |
| ძირითადი საშუალებების შეძენა/შენიშვნა                                                    | (663)                                  | (169)                                  |
| ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები                             | -                                      | 57                                     |
| საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები                           | (663)                                  | (112)                                  |
| ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან                                          |                                        |                                        |
| მიღებული სესხი                                                                           | 605                                    | 3,386                                  |
| სესხის ძირის დაფარვა                                                                     | (2,063)                                | (9,415)                                |
| გადახდილი დივიდენდი                                                                      | (29)                                   | (50)                                   |
| საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები                              | (1,487)                                | (6,079)                                |
| ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)                           | (76)                                   | 155                                    |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში                                    | 206                                    | 69                                     |
| უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე | (19)                                   | (18)                                   |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს                                         | 111                                    | 206                                    |

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2021 წლის 28 მაისს.

ზნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ მარინე კილაძე, ფინანსური დირექტორი



შპს “ახალი ქსელები” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

|                              | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ   |
|------------------------------|-----------------------|-------------------------|-------|
| ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს | 56                    | 2,244                   | 2,300 |
| 2019 წლის სრული შემოსავალი   | -                     | 1,030                   | 1,030 |
| ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს | 56                    | 3,274                   | 3,330 |
| 2020 წლის სრული შემოსავალი   | -                     | 355                     | 355   |
| ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს | 56                    | 3,629                   | 3,685 |

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად  
 დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2021 წლის 28 მაისს.

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ მარინე კილაძე, ფინანსური დირექტორი

შპს "ახალი ქსელები" კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

|                              | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ   |
|------------------------------|-----------------------|-------------------------|-------|
| ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს | 56                    | 2,244                   | 2,300 |
| 2019 წლის სრული შემოსავალი   | -                     | 1,030                   | 1,030 |
| ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს | 56                    | 3,274                   | 3,330 |
| 2020 წლის სრული შემოსავალი   | -                     | 355                     | 355   |
| ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს | 56                    | 3,629                   | 3,685 |

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად  
 დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2021 წლის 28 მაისს.

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ მარინე კილაძე, ფინანსური დირექტორი



## ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

### 1. ჯგუფი და მისი საქმიანობა

შპს „ახალი ქსელები“ (შემდგომში, ტექსტში „დედა კომპანია“) დაფუძნდა 1996 წლის 2 აგვისტოს, საიდენტიფიკაციო კოდი: 211326732, მარეგისტრირებული ორგანო არის საბურთალოს რ-ნის სასამართლო. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №42.

შპს „ახალი ქსელები“ წარმოადგენს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის კერძო ოპერატორს საქართველოში. მისი დაფარვის ზონები მოიცავს როგორც დასავლეთ, ასევე, აღმოსავლეთ საქართველოს. კომპანიას გააჩნია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზიები და ავტორიზაციები, რომლის მეშვეობითაც იგი მომხმარებელს აწვდის საკომუნიკაციო სერვისს.

„დედა კომპანიას“ გააჩნია ერთი შვილობილი კომპანია შპს „ახტელი“, რომელიც დაფუძნებულია შპს „ახალი ქსელები“-ს მიერ 1997 წლის 27 ივნისს. მისი საიდენტიფიკაციო კოდია: 202913106, მარეგისტრირებული ორგანო არის ჩუღურეთის რ-ნის სასამართლო. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ., №42. შპს „ახტელი“ წარმოადგენს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის კერძო ოპერატორს საქართველოში. მისი დაფარვის ზონებია: ქ.თბილისი; კომპანიას გააჩნია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზიები და ავტორიზაციები, რომლის მეშვეობითაც იგი მომხმარებელს აწვდის საკომუნიკაციო სერვისს.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის დამფუძნებლები იყვნენ:

| მესაკუთრე                                                                | 31.12.2020 | 31.12.2019 |
|--------------------------------------------------------------------------|------------|------------|
| ფრიდონ ინჯია, საქართველო, პ/ნ: 01007000616 (რუსეთის ფედერაციის მოქალაქე) | 46.238%    | 46.238%    |
| ავთანდილ იაშვილი, პ/ნ: 01002004622 (საქართველოს მოქალაქე)                | 33.177%    | 33.177%    |
| შპს „სისტემ ნეტ“, ს/კ: 205267423                                         | 10%        | 10%        |
| ლილი სუხიტაშვილი, პ/ნ: 01017003643 (საქართველოს მოქალაქე)                | 4.16%      | 4.16%      |
| შპს „მეკავშირე-97“, ს/კ: 202910378                                       | 3.685%     | 3.685%     |
| ნაირა კვესელავა, პ/ნ: 01013008190 (საქართველოს მოქალაქე)                 | 1.6%       | 1.6%       |
| ვახტანგ ამაშუკელი, პ/ნ: 01012008906 (საქართველოს მოქალაქე)               | 0.64%      | 0.64%      |
| თეიმურაზ ლოღობერიძე, პ/ნ: 01017003917 (საქართველოს მოქალაქე)             | 0.25%      | 0.25%      |
| მარინა იაშვილი, პ/ნ: 01002002469 (საქართველოს მოქალაქე)                  | 0.25%      | 0.25%      |

ჯგუფის მავონტროლებელი პირები არიან: ილია ინჯია, (პ/ნ 01007000232), ფრიდონ ინჯია (პ/ნ 01007000616), ხათუნა ინჯია (პ/ნ 01007005738), ლალი რუხაია (პ/ნ 01007002598) და ნაირა კვესელავა (პ/ნ 01013008190).

### 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით, მოცემულია ქვემოთ:

#### 2.1 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპისა და ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ არის წარმოდგენილი ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ.

#### 2.1 კონსოლიდაცია

შვილობილი არის ყველა კომპანია, რომელზეც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, რომ მართოს კომპანიის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა (ან რელევანტური საქმიანობის მართვის შესაძლებლობა), და ფლობს კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციების 50%-ზე მეტს. შვილობილი კომპანიები სრულად კონსოლიდირებულია ჯგუფის მიერ კონტროლის მოპოვების დღიდან.

„დედა კომპანიას“ გააჩნია ერთი შვილობილი კომპანია შპს „ახალი ქსელები“-ს მიერ 1997 წლის 27 ივნისს, 360 წარმოადგენს ინვესტიციას მის საწესდებო კაპიტალში. მისი საიდენტიფიკაციო კოდია: 202913106, მარეგისტრირებული ორგანო არის ჩუღურეთის რ-ნის სასამართლო. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ., №42. შპს „ახალი ქსელები“ წარმოადგენს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის კერძო ოპერატორს საქართველოში. მისი დაფარვის ზონებია: ქ.თბილისი; კომპანიას გააჩნია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზიები და ავტორიზაციები, რომლის მეშვეობითაც იგი მომხმარებელს აწვდის საკომუნიკაციო სერვისს.

სრულად ელიმინირებულია ყველა შიდა ჯგუფური ტრანზაქცია, ბალანსები და ჯგუფის შიგნით ტრანზაქციიდან მიღებული არარეალიზებული მოგება, ასევე, ელიმინირებულია არარეალიზებული ზარალი იმ შემთხვევაში, თუ ტრანზაქცია არ მოიცავს მტკიცებულებას, რომ გადაცემული აქტივი გაუფასურებულია. საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების საბუღალტრო პოლიტიკა შეიცვალა ჯგუფის მიერ მიღებული პოლიტიკის შესაბამისად.

კომპანია არ ფლობს სხვა ინვესტიციას საწარმოთა საწესდებო კაპიტალში.

## **2.2 შემოსავლის აღიარება**

საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი და მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდა საქონლის საკუთრების უფლების გადაცემა და გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღე-სა და ფასდათმობის გარეშე.

## **2.3 წარდგენის ვალუტა**

ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა („ქართული ლარი“).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად, წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში, როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორის ოპერაციების შედეგად, აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში იყო შემდეგი:

|                        | <b>აშშ დოლარი</b> | <b>ევრო</b> |
|------------------------|-------------------|-------------|
| 2019 წლის 31 დეკემბრის | 2.8677            | 3.2095      |
| 2020 წლის 31 დეკემბრის | 3.2766            | 4.0233      |

## **2.4 ძირითადი საშუალებები**

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ასახული ძირითადი საშუალებები ასახულია მსს ფასს 35 განყოფილების - მსს ფასს-ზე გადასვლის განსაზღვრული „რეალური ღირებულებით, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულებით“. 2018 1 იანვრის შემდეგ შეძენილი აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთისა ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ღირებულებით. აქტივის შესყდული თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

|                                        | სასარგებლო მომსახურების ვადა |
|----------------------------------------|------------------------------|
| მიწა და შენობა-ნაგებობები              | 7-51                         |
| საკაბელო ქსელები                       | 6-50                         |
| კავშირგაბმულობის და სხვა მოწყობილობები | 5-21                         |
| ოფისის აღჭურვილობა                     | 3-17                         |
| ავეჯი                                  | 6-10                         |
| სატრანსპორტო საშუალებები               | 6-15                         |

## 2.5 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. იმ აქტივებს რომლებსაც არ აქვს განსაზღვრული სასიცოცხლო ვადა ცვეთა ერიცხება მენეჯმენტის მიერ შეფასებული სასიცოცხლო ვადის საფუძველზე. შეფასებული სასიცოცხლო ვადა ასეთ შემთხვევაში არ აჭარბებს 10 წელს.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით ლიცენზიების სასიცოცხლო ხანგრძლივობა 7-10 წელი. სხვა არამატერიალური აქტივების სრული სახით ამორტიზებულია.

## 2.6 არამონეტარული აქტივების გაუფასურება

გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ სხვაობის ოდენობით, რაც არსებობს შეფასებულ ამოღებად თანხასა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის. ამოღებადი თანხა წარმოადგენს უდიდეს თანხას გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები ჯგუფდება უმცირესი ჯგუფის დონეზე, რომლის დონეზეც იდენტიფიცირდება განცალკევებული ფულადი ნაკადები. ყოველ საანგარიშო პერიოდზე გაუფასურებული არაფინანსური აქტივები, გარდა გუდვილისა, მიმოიხილება გაუფასურების შებრუნების გაუქმების მიზნით.

## 2.7 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

## 2.8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების გაწევით და საქონლის მიწოდების შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ მათი ამოღებად ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან მოთხოვნებად შესაბამისად.

## 2.9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მომსახურების ან საქონლის შესყიდვის შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა დავალიანებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ მათი გადახდა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად შესაბამისად.

## 2.10 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების განეტების საშუალებით. აღიარების შემდგომ ისინი წარედგენილია ამორტიზებული ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ფულად ნაკადებსა და დაფარვის ღირებულებას შორის აღიარდება სესხის მთელი პერიოდის განმავლობაში მოგება-ზარალის პერიოდში.

## 2.11 საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარად განიხილება იჯარა, რომლის შემთხვევაშიც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიური სარგებელის გადაცემა არ ხდება მოიჯარეზე. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადახდილი სახდელები აისახება მოგება - ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით იჯარის მთელი პერიოდის მიხედვით. ფინანსური იჯარის შემთხვევაში, აქტივების კაპიტალიზაცია ხდება მოიჯარესთან,

აქტივების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალურ საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

## **2.12 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები**

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალი სიხშირის ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, სულ მცირე, თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

## **2.13 მოგების გადასახადი**

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომლის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მომზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას და როდესაც ეს გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითვების განსახორციელებლად.

კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს ჯგუფი იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. კომპანიის შეფასება ეფუძნება მოქმედი ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელებისა და მოგების გადასახადის გარდა, სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძნება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. გადასახადის გადამხდელების უმრავლესობას, მათ შორის ჯგუფისაც, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა ანულირება გაუკეთა მისი ყველა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივს და ვალდებულებას.

#### **2.14 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები**

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებულ მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

#### **2.15 ურთიერთგადაფარვა**

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

#### **2.16 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა**

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა, კომპანიის ხელმძღვანელობა, ასევე, მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.** ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

**საწამოს უწყვეტობის პრინციპი -** ჯგუფს ერიცხება მოკლევადიანი ვალდებულებები 23,186 ოდენობით. კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულების უმნიშვნელოვანესი ნაწილი 17,683 - წარმოადგენს ვალდებულებას ჯგუფის დედა კომპანიის ერთ-ერთი (10 პროცენტის წილის მფლობელის) დამფუძნებლების და მის მიერ ერთობლივად კონტროლირებად საწარმოს მიმართ. ეს ორივე კომპანია, ამავე დროს, წარმოადგენს შპს “ახალ ქსელთან” ერთად საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ პირებს. ჯგუფის მენეჯმენტი თვლის, რომ შეძლებს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ პირებთან და სხვა კრედიტორებთან დავალიანების დაფარვის ისეთი პოლიტიკის შეჯერებას, რომელიც არ შეაფერხებს კომპანიის მომავალ ჩვეულებრივ პირობებში ოპერირებას. ამ პირობების გათვალისწინებით, მენეჯმენტი თვლის, რომ „ფუნქციონირების უწყვეტობის დაშვება მართებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

**სასამართლო დავა კონტრაგენტთან.** ჯგუფში შემავალ ორივე კომპანიის და ერთი და იგივე კონტრაგენტს აქვს ერთმანეთთან მნიშვნელოვანი სადავო ურთიერთმოთხოვნები. ეს ურთიერთმოთხოვნები განიხილება პირველი ინსტანციით სასამართლოს მიერ. ურთიერთმოთხოვნების მონეტარული სიდიდე აჭარბებს რამოდენიმე მილიონ ლარს. ჯგუფის მენეჯმენტი არ მოელის ამ პროცესიდან რაიმე სახის უარყოფით შედეგებს, შესაბამისად ანარიცხი ან რაიმე სახის აქტივის გაუფასურება არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

**საექვო ვალდების რეზერვი.** ჯგუფის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში, როდესაც დებიტორს აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე, რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების

შეფასებისას, ჯგუფი ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის, უარყოფითს, რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიურ პირობებს, რომლებიც კორელაციაშია ჯგუფის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივების ისტორიული საკრედიტო მახასიათებლები და გაუფასურების პირობები მსგავსია მიმდინარე აქტივებისა, მაშინ შეფასებისას გამოიყენება ეს ისტორიული მონაცემები. ჯგუფის მენეჯმენტი თვლის, რომ საეჭვო ვალების წარდგენილი მონაცემები წარმოადგენს დებიტორების გაუფასურების თანხის საუკეთესო შეფასებას (იხილეთ ახსნა-განმარტებითი შენიშვნა 6).

შპს “ახალი ქსელები” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ძირითადი საშუალებები

|                                                          | მიწა და<br>შენობა<br>ნაგებობები | საკაბე-<br>ლო<br>ქსელები | კავშირ-<br>გაბმულობ<br>ის და სხვა<br>მოწყობი<br>ლობები | ოფისის<br>აღჭურ-<br>ვილობა | ავიჯი      | სატრანს-<br>პორტო<br>საშუალ-<br>ე-ბები | იჯარით<br>აღებული<br>ქონების<br>კეთილ-<br>მოწყობა | დაუმთ<br>ავრებე<br>ლი<br>მშენებ<br>ლობა | სულ           |
|----------------------------------------------------------|---------------------------------|--------------------------|--------------------------------------------------------|----------------------------|------------|----------------------------------------|---------------------------------------------------|-----------------------------------------|---------------|
| <b>ისტორიული ღირებულება/დასაშვები საწყისი ღირებულება</b> |                                 |                          |                                                        |                            |            |                                        |                                                   |                                         |               |
| <b>31.12.2018</b>                                        | <b>14,222</b>                   | <b>6,269</b>             | <b>8,111</b>                                           | <b>621</b>                 | <b>177</b> | <b>307</b>                             | <b>4</b>                                          | <b>-</b>                                | <b>29,711</b> |
| შეძენა                                                   | -                               | -                        | 637                                                    | 21                         | 10         | -                                      | 2                                                 | 131                                     | 801           |
| გასვლა                                                   | (36)                            | (9)                      | (282)                                                  | (16)                       | (3)        | -                                      | -                                                 | -                                       | (346)         |
| რეკლასიფიკა<br>ცია                                       | -                               | 107                      | 16                                                     | 4                          | 4          | -                                      | -                                                 | (131)                                   | -             |
| <b>31.12.2019</b>                                        | <b>14,186</b>                   | <b>6,367</b>             | <b>8,482</b>                                           | <b>630</b>                 | <b>188</b> | <b>307</b>                             | <b>6</b>                                          | <b>-</b>                                | <b>30,166</b> |
| შეძენა                                                   | 63                              | 113                      | 1,975                                                  | 15                         | -          | -                                      | -                                                 | -                                       | 2,166         |
| გასვლა                                                   | (5)                             | (41)                     | (15)                                                   | (12)                       | (3)        | -                                      | -                                                 | -                                       | (76)          |
| <b>31.12.2020</b>                                        | <b>14,244</b>                   | <b>6,439</b>             | <b>10,442</b>                                          | <b>633</b>                 | <b>185</b> | <b>307</b>                             | <b>6</b>                                          | <b>-</b>                                | <b>32,256</b> |
| <b>ცვეთა</b>                                             |                                 |                          |                                                        |                            |            |                                        |                                                   |                                         |               |
| <b>31.12.2018</b>                                        | <b>290</b>                      | <b>266</b>               | <b>904</b>                                             | <b>89</b>                  | <b>25</b>  | <b>37</b>                              | <b>-</b>                                          | <b>-</b>                                | <b>1,611</b>  |
| პერიოდის<br>ცვეთა                                        | 291                             | 283                      | 1,147                                                  | 96                         | 25         | 37                                     | -                                                 | -                                       | 1,879         |
| გასული<br>ძირითადი<br>საშუალებების<br>ცვეთა              | (2)                             | (2)                      | (118)                                                  | (8)                        | (1)        | -                                      | -                                                 | -                                       | (131)         |
| <b>31.12.2019</b>                                        | <b>579</b>                      | <b>547</b>               | <b>1,933</b>                                           | <b>177</b>                 | <b>49</b>  | <b>74</b>                              | <b>-</b>                                          | <b>-</b>                                | <b>3,359</b>  |
| პერიოდის<br>ცვეთა                                        | 291                             | 288                      | 1,259                                                  | 100                        | 26         | 37                                     | 1                                                 | -                                       | 2,002         |
| გასული<br>ძირითადი<br>საშუალებების<br>ცვეთა              | -                               | (6)                      | (42)                                                   | (5)                        | -          | -                                      | -                                                 | -                                       | (53)          |
| <b>31.12.2020</b>                                        | <b>870</b>                      | <b>829</b>               | <b>3,150</b>                                           | <b>272</b>                 | <b>75</b>  | <b>111</b>                             | <b>1</b>                                          | <b>-</b>                                | <b>5,308</b>  |
| <b>ნეტო საბალანსო ღირებულება</b>                         |                                 |                          |                                                        |                            |            |                                        |                                                   |                                         |               |
| <b>31.12.2018</b>                                        | <b>13,932</b>                   | <b>6,003</b>             | <b>7,207</b>                                           | <b>532</b>                 | <b>152</b> | <b>270</b>                             | <b>4</b>                                          | <b>-</b>                                | <b>28,100</b> |
| <b>31.12.2019</b>                                        | <b>13,607</b>                   | <b>5,820</b>             | <b>6,549</b>                                           | <b>453</b>                 | <b>139</b> | <b>233</b>                             | <b>6</b>                                          | <b>-</b>                                | <b>26,807</b> |
| <b>31.12.2020</b>                                        | <b>13,374</b>                   | <b>5,610</b>             | <b>7,292</b>                                           | <b>361</b>                 | <b>110</b> | <b>196</b>                             | <b>5</b>                                          | <b>-</b>                                | <b>26,948</b> |

შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, ჯგუფის ყველა ძირითად საშუალებაზე ვრცელდება საგადასახადო გირავნობა. აღნიშნული მოთხოვნის თაობაზე შემოსავლების სამსახურთან მიმდინარე დავა ჯგუფის სასარგებლოდ დასრულდა 2020 წელს, შესაბამისად, გირავნობა ექვემდებარება ანულისრებას.

ახსნა-განმარტებით შენიშვნა (15.1)-ში მოცემული დავის ფარგლებში, ჯგუფის ყადაღადადებული აქტივების საბალანსო ღირებულება მოცემულია ქვევით:

|                           | <b>31.12.2020</b> |
|---------------------------|-------------------|
| მიწა და შენობა-ნაგებობები | 13,374            |
| საკაბელო ქსელები          | 5,610             |
| <b>სულ:</b>               | <b>18,984</b>     |

შპს “ახალი ქსელები” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ბანკის სესხის უზრუნველყოფის ფარგლებში იპოთეკით დატვირთულია ჯგუფის ხაზოვანი ნაგებობები და საკაბელო ქსელები, რომელთა თანხობრივი მონაცემები მოცემულია ქვევით ცხილში:

|                    | 31.12.2020    | 31.12.2019    |
|--------------------|---------------|---------------|
| შენიშნა-ნაგებობები | 5,960         | 6,082         |
| საკაბელო ქსელები   | 4,882         | 5,182         |
| <b>სულ:</b>        | <b>10,842</b> | <b>11,264</b> |

4. არამატერიალური აქტივები

|                                     | ლიცენზიები | პროგრამები | სულ |
|-------------------------------------|------------|------------|-----|
| <b>ისტორიული ღირებულება:</b>        |            |            |     |
| 2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით   | 161        | 88         | 249 |
| 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 161        | 88         | 249 |
| დამატებები                          | 24         | -          | 24  |
| 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 185        | 88         | 273 |
| <b>ამორტიზაცია:</b>                 |            |            |     |
| 2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით   | 80         | 87         | 167 |
| პერიოდის ამორტიზაცია                | 20         | 1          | 21  |
| 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 100        | 88         | 188 |
| პერიოდის ამორტიზაცია                | 25         | -          | 25  |
| 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 125        | 88         | 213 |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება:</b> |            |            |     |
| 2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით   | 81         | 1          | 82  |
| 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 61         | -          | 61  |
| 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 60         | -          | 60  |

შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, ჯგუფის ყველა ძირითად საშუალებაზე ვრცელდება საგადასახადო გირავნობა. აღნიშნული მოთხოვნის თაობაზე შემოსავლების სამსახურთან მიმდინარე დავა ჯგუფის სასარგებლოდ დასრულდა 2020 წელს, შესაბამისად, გირავნობა ექვემდებარება ანულირებას.

5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

|                                              | 31.12.2020   | 31.12.2019   |
|----------------------------------------------|--------------|--------------|
| სათადარიგო ნაწილები                          | 1,767        | 1,675        |
| <b>სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები</b> | <b>1,767</b> | <b>1,675</b> |

შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, ჯგუფის ყველა ძირითად საშუალებაზე ვრცელდება საგადასახადო გირავნობა. აღნიშნული მოთხოვნის თაობაზე შემოსავლების სამსახურთან მიმდინარე დავა ჯგუფის სასარგებლოდ დასრულდა 2020 წელს, შესაბამისად, გირავნობა ექვემდებარება ანულირებას.

6. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

|                                                                            | 31.12.2020 | 31.12.2019   |
|----------------------------------------------------------------------------|------------|--------------|
| მისაღები სავაჭრო დებიტორები ძირითადი საქმიანობიდან                         | 5,400      | 5,568        |
| საექვო დებიტორული დავალიანების რეზერვი                                     | (5,071)    | (4,784)      |
| გადახდილი ავანსები                                                         | 315        | 682          |
| სხვა სავაჭრო დებიტორული დავალიანება                                        | 118        | 112          |
| ავანსებისა და სხვა სავაჭრო დებიტორული დავალიანების საექვო ვალების ანარიცხი | (204)      | (100)        |
| <b>სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება</b>                                  | <b>558</b> | <b>1,478</b> |

შპს “ახალი ქსელები” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

| საექვო დებიტორული დავალიანების რეზერვის მოძრაობა                            | 2020         | 2019         |
|-----------------------------------------------------------------------------|--------------|--------------|
| გაუფასურების რეზერვის საწყისი ნაშთი                                         | 4,784        | 4,555        |
| წლის ბოლოს რეზერვის დაკორექტირება                                           | 287          | 229          |
| <b>31 დეკემბრის მიხედვით</b>                                                | <b>5,071</b> | <b>4,784</b> |
| საექვო ავანსებისა და სხვა სავაჭრო დებიტორული დავალიანების რეზერვის მოძრაობა | 2020         | 2019         |
| გაუფასურების რეზერვის საწყისი ნაშთი                                         | 100          | 77           |
| წლის ბოლოს რეზერვის დაკორექტირება                                           | 104          | 23           |
| <b>31 დეკემბრის მიხედვით</b>                                                | <b>204</b>   | <b>100</b>   |

შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, ჯგუფის ყველა ძირითად საშუალებაზე ვრცელდება საგადასახადო გირავნობა. აღნიშნული მოთხოვნის თაობაზე შემოსავლების სამსახურთან მიმდინარე დავა ჯგუფის სასარგებლოდ დასრულდა 2020 წელს, შესაბამისად, გირავნობა ექვემდებარება ანულირებას.

#### 7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

|                                                  | 31.12.2020 | 31.12.2019 |
|--------------------------------------------------|------------|------------|
| ნაღდი ფული სალაროში                              | 2          | 3          |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში                  | 107        | 202        |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში                   | 2          | 1          |
| <b>სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</b> | <b>111</b> | <b>206</b> |

შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, ჯგუფის ყველა ძირითად საშუალებაზე ვრცელდება საგადასახადო გირავნობა. აღნიშნული მოთხოვნის თაობაზე შემოსავლების სამსახურთან მიმდინარე დავა ჯგუფის სასარგებლოდ დასრულდა 2020 წელს, შესაბამისად, გირავნობა ექვემდებარება ანულირებას.

#### 8. ნასესხები საშუალებები

|                                         | 31.12.2020   | 31.12.2019   |
|-----------------------------------------|--------------|--------------|
| გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილი | 1,776        | 2,054        |
| გრძელვადიანი სესხები                    | 2,573        | 3,714        |
| <b>სულ ნასესხები საშუალებები</b>        | <b>4,349</b> | <b>5,768</b> |

დასაფარია შემდეგი პერიოდების განმავლობაში:

|                                  |              |              |
|----------------------------------|--------------|--------------|
| 1 წელში                          | 1,776        | 2,054        |
| 1-3 წელში                        | 2,573        | 3,094        |
| 3-6 წელში                        | -            | 620          |
| <b>სულ ნასესხები საშუალებები</b> | <b>4,349</b> | <b>5,768</b> |

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხები წარმოადგენს საბანკო სესხებს ლარში და აშშ დოლარში. 2020 და 2019 წლების განმავლობაში სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იყო - 11% ლარში გაცემულ სესხებზე, ხოლო, 6% დოლარში გაცემულ სესხებზე.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გარდა 995 და 1,868 თანხების საბანკო სესხისა, ჯგუფის სესხები უზრუნველყოფის მიზნით მის დაკავშირებული მხარეები, რომლებიც, ამავდროულად, წარმოადგენენ ჯგუფთან ერთად ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებს, წარმოადგენენ თავდებებს - ნაკისრი აქვთ სოლიდარული და სრული პასუხისმგებლობა სესხთან დაკავშირებით. ასევე, სესხის უზრუნველსაყოფად დატვირთულია: გირაოთი - შვილობილი კომპანიის წილი 100%-ის ოდენობით და თავად დედა კომპანიის წილების ნაწილი 79.42%-ის ოდენობით.

ბანკის სესხის უზრუნველყოფის ფარგლებში იპოთეკით დატვირთულია ჯგუფის ხაზოვანი ნაგებობები და საკაბელო ქსელები. იპოთეკაში ჩადებული აქტივების დეტალები იხილეთ ახსნა-განმარტებით შენიშვნა (3)-ში.

**შპს “ახალი ქსელები” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**  
**2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის**  
**(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

სესხის ხელშეკრულების მიხედვით, ბანკმა დაუწესა ჯგუფის წევრ კომპანიებს გარკვეული ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები, რომელთა ნაწილი დარღვეულია ჯგუფის წევრი კომპანიების მხრიდან 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ბანკთან მიღწეულია შეთანხმება, რომ არ მოხდება იმ ქმედებების განახორციელება, რომლებით გათვალისწინებულია ხელშეკრულების მიხედვით სესხის პირობების დარღვევის შემთხვევაში.

**9. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება**

|                                                         | <b>31.12.2020</b> | <b>31.12.2019</b> |
|---------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | 18,541            | 18,474            |
| მიღებული ავანსები                                       | 1,021             | 977               |
| გადასახდელი ხელფასები                                   | 480               | 427               |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები                         | 169               | 158               |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება</b>      | <b>20,211</b>     | <b>20,036</b>     |

**10. შემოსავალი რეალიზაციიდან**

|                                                                       | <b>2020 წლისათვის</b> | <b>2019 წლისათვის</b> |
|-----------------------------------------------------------------------|-----------------------|-----------------------|
| შემოსავალი ინტერნეტის მომსახურებიდან                                  | 10,373                | 11,706                |
| შემოსავალი სატელევიზიო მომსახურებიდან                                 | 2,722                 | 2,093                 |
| შემოსავალი სატელეფონო ზარებიდან                                       | 2,594                 | 3,081                 |
| შემოსავალი ურთიერთჩართვის მომსახურებიდან                              | 708                   | 860                   |
| შემოსავალი თემატური პაკეტებიდან                                       | 498                   | 633                   |
| შემოსავალი საინფორმაციო ორგანიზაციებთან და სპეცნომრებთან დარეკვებიდან | 284                   | 292                   |
| შემოსავალი არხების იჯარიდან                                           | 78                    | 110                   |
| სხვა შემოსავლები                                                      | 657                   | 734                   |
| <b>სულ შემოსავალი რეალიზაციიდან</b>                                   | <b>17,914</b>         | <b>19,509</b>         |

**11. გაყიდვების თვითღირებულება**

|                                                      | <b>2020 წლისათვის</b> | <b>2019 წლისათვის</b> |
|------------------------------------------------------|-----------------------|-----------------------|
| პირდაპირი ხელფასის ხარჯები                           | 6,272                 | 5,799                 |
| ინტერნეტის ხარჯები                                   | 3,233                 | 3,685                 |
| ცვეთის ხარჯები                                       | 1,875                 | 1,758                 |
| კომუნალური დანახარჯები                               | 751                   | 795                   |
| სატელევიზიო არხების ტრანსლაციის მომსახურების ხარჯები | 711                   | -                     |
| იჯარის დანახარჯები                                   | 470                   | 512                   |
| რემონტის დანახარჯები                                 | 310                   | 474                   |
| ურთიერთჩართვისთვის გაწეული ხარჯები                   | 305                   | 414                   |
| ძირითადი მასალების და ნედლეულის დანახარჯები          | 233                   | 310                   |
| საწვავის დანახარჯები                                 | 185                   | 239                   |
| კაბელების მომსახურების დანახარჯები                   | 41                    | 52                    |
| სხვა თვითღირებულების ხარჯები                         | 194                   | 239                   |
| <b>სულ თვითღირებულების ხარჯი</b>                     | <b>14,580</b>         | <b>14,277</b>         |

## 12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

|                                              | 2020 წლისათვის | 2019 წლისათვის |
|----------------------------------------------|----------------|----------------|
| ხელფასის ხარჯები                             | 1,267          | 1,176          |
| იჯარის ხარჯები                               | 624            | 555            |
| საექვო ვალების რეზერვი                       | 391            | 252            |
| საგადასახადო ხარჯები                         | 210            | 319            |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები              | 152            | 142            |
| მარეგულირებელი კომისიის ხარჯი                | 140            | 156            |
| რემონტის დანახარჯები                         | 105            | 126            |
| ბანკისა და კლირინგის საკომისიოები            | 82             | 116            |
| საკონსულტაციო ხარჯები                        | 80             | 87             |
| კომუნალური და კავშირგაბმულობის ხარჯები       | 78             | 50             |
| დამსაქმებლის საპენსიო შენატანი               | 77             | 69             |
| საოფისე და საკანცელარიო ხარჯები              | 51             | 66             |
| წარმომადგენლობითი ხარჯები                    | 9              | 43             |
| საწვავის ხარჯები                             | 3              | 11             |
| ბილინგის და ქოლცენტრის ხარჯი                 | -              | 19             |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯები                 | 279            | 275            |
| <b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</b> | <b>3,548</b>   | <b>3,462</b>   |

## 13. ფინანსური ხარჯი (ნეტო)

|                                      | 2020 წლისათვის | 2019 წლისათვის |
|--------------------------------------|----------------|----------------|
| საპროცენტო ხარჯები (ნეტო)            | 641            | 673            |
| მოგება კურსთაშორის სხვაობიდან (ნეტო) | 12             | 393            |
| <b>სულ ფინანსური ხარჯი (ნეტო)</b>    | <b>653</b>     | <b>1,066</b>   |

## 14. სხვა მოგება (ნეტო)

|                                              | 2020 წლისათვის | 2019 წლისათვის |
|----------------------------------------------|----------------|----------------|
| მასალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი  | 934            | 373            |
| სუბსიდია                                     | 451            | -              |
| შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან | (312)          | 18             |
| სხვა არასასაპერაციო შემოსავალი/(ხარჯი) ნეტო  | 149            | (65)           |
| <b>სულ სხვა მოგება (ნეტო)</b>                | <b>1,222</b>   | <b>326</b>     |

## 15. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

**15.1 სასამართლო დავა კონტრაგენტთან.** ჯგუფში შემავალ ორივე კომპანიის და ერთი და იგივე კონტრაგენტს აქვს ერთმანეთთან მნიშვნელოვანი სადავო ურთიერთმოთხოვნები. ეს ურთიერთმოთხოვნები განიხილება პირველი ინსტანციით სასამართლოს მიერ. ურთიერთმოთხოვნების მონეტარული სიდიდე აჭარბებს რამოდენიმე მილიონ ლარს. ჯგუფის მენეჯმენტი არ მოელის ამ პროცესიდან რაიმე სახის უარყოფით შედეგებს, შესაბამისად ანარიცხი ან რაიმე სახის აქტივის გაუფასურება არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

**15.2 სხვა სამართლებრივი პროცედურები.** ჯგუფის წინააღმდეგ აღძრულია სხვადასხვა სასამართლო საქმეები და მომავალშიც შესაძლოა, აღიძრას ცალკეული სამოქალაქო სარჩელები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღდება ჯგუფს ამ სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

**15.3 ჯგუფის საბანკო სესხები.** ჯგუფის სესხის ხელშეკრულებების მიხედვით, ბანკმა დაუწესა მსესხებლებს (ჯგუფის წევრ ორივე კომპანიას) გარკვეული ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები, რომელთა ნაწილი დარღვეულია დედა კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიის მხრიდან 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ბანკთან მიღწეულია შეთანხმება, რომ არ მოხდება იმ ქმედებების განახორციელება, რომლებიც გათვალისწინებულია ხელშეკრულების მიხედვით სესხის პირობების დარღვევის შემთხვევაში. ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ ამ ურთიერთობიდან გამომდინარე ჯგუფში ამ კუთხით არ მოხდება მომავალში ფულადი ან სხვა

**შპს “ახალი ქსელები” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**  
**2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის**  
**(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

სახის ეკონომიკური სარგებლის გასვლა, ამ მიზეზთა გამო წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

**15.4 თავდებობები დაკავშირებული მხარის სასარგებლოდ გაცემულ საბანკო გარანტიის ფარგლებში.** ჯგუფის წევრი კომპანია წარმოადგენს თავდებს დაკავშირებული მხარის, რომელიც ამავდროულად კომპანიასთან ერთად საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიაა, სასარგებლოდ გაცემულ საბანკო გარანტიების ფარგლებში. გარანტია აღებული და წარდგენილია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის, მისგან შესყიდულ ქონებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებით, განსაზღვრული ვალდებულებებისა და მოსალოდნელი საპირგასამტეხლოს შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. საბანკო გარანტია გაცემულია 2016 წელს და 2018 წელს 1 მილიონ და 178 ათას ლარზე შესაბამისად. გარანტია მოქმედებდა 2020 წლის მაისამდე (რომელიც შემდგომში გაგრძელდა 2024 წლამდე). კომპანიის თავდებობის ლიმიტი განისაზღვრება 250 ათასი ლარით. ამ გარანტიის ფარგლებში დაკავშირებული მხარის 476 ათასი დოლარის ოდენობით საბანკო ანგარიში ბლოკირებულია. დაკავშირებულმა კომპანიამ ვერ შეასრულა ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და მას დაეწყო 2019 წლის 24 დეკემბერს პირგასამტეხლობის დარიცხვა. ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ ამ ურთიერთობიდან გამომდინარე, ჯგუფის წევრი კომპანიიდან არ მოხდება მომავალში ეკონომიკური სარგებლის გასვლა და დაკავშირებული მხარე დამოუკიდებლად მოემსახურება ამ ვალდებულების თანხებს. ამ მიზეზთა გამო, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

**16. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა, შეიძლება, დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები, შეიძლება, არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2020 წლის 31 დეკემბრისა და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის ჯგუფის დამფუძნებლებთან, დირექტორთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

|                                                        | მაკონტროლ<br>ებელი<br>პირები | სხვა<br>დამფუძნებ<br>ლები | მენეჯმენტი | ერთობლი<br>ვი კონტრო<br>ლის ქვეშ<br>არსებული<br>კომპანიები | სხვა<br>დაკავშირებ<br>ული<br>მხარეები |
|--------------------------------------------------------|------------------------------|---------------------------|------------|------------------------------------------------------------|---------------------------------------|
| <b>ნაშთები:</b>                                        |                              |                           |            |                                                            |                                       |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გროსი                      | -                            | -                         | -          | 20                                                         | 99                                    |
| შესაბამისი გაუფასურების რეზერვი                        | -                            | -                         | -          | -                                                          | (89)                                  |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                          | -                            | 13,604                    | -          | 3,581                                                      | 73                                    |
| გადასახდელი დივიდენდები                                | 74                           | 758                       | -          | -                                                          | -                                     |
| <b>ოპერაციები:</b>                                     |                              |                           |            |                                                            |                                       |
| შესყიდვები                                             | -                            | 2,423                     | -          | 1,733                                                      | 165                                   |
| რეალიზაცია                                             | -                            | 78                        | -          | 30                                                         | 59                                    |
| გადახდილი დივიდენდები                                  | -                            | 30                        | -          | -                                                          | -                                     |
| მოკლევადიანი სარგებელი - ხელფასები დირექტორატი (ხარჯი) | 106                          | 25                        | 559        | -                                                          | 130                                   |

შპს “ახალი ქსელები” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2019 წლის 31 დეკემბრისა და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის ჯგუფის დამფუძნებლებთან, დირექტორთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

|                                                              | მაკონტროლ<br>ებელი<br>პირები | სხვა<br>დამფუძნებ<br>ლები | მენეჯმენტი | ერთობლი<br>ვი კონტრო<br>ლის ქვეშ<br>არსებული<br>კომპანიები | სხვა<br>დაკავშირებ<br>ული<br>მხარეები |
|--------------------------------------------------------------|------------------------------|---------------------------|------------|------------------------------------------------------------|---------------------------------------|
| <b>ნაშთები:</b>                                              |                              |                           |            |                                                            |                                       |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები,<br>გროსი                         | -                            | -                         | -          | 35                                                         | 95                                    |
| შესაბამისი გაუფასურების<br>რეზერვი                           | -                            | -                         | -          | -                                                          | (72)                                  |
| სავაჭრო და სხვა<br>ვალდებულებები                             | -                            | 14,949                    | -          | 2,948                                                      | 39                                    |
| გადასახდელი დივიდენდები                                      | 76                           | 785                       | -          | -                                                          | -                                     |
| <b>ოპერაციები:</b>                                           |                              |                           |            |                                                            |                                       |
| შესყიდვები                                                   | -                            | 4,780                     | -          | 614                                                        | 175                                   |
| რეალიზაცია                                                   | -                            | 80                        | -          | 98                                                         | 129                                   |
| გადახდილი დივიდენდები                                        | -                            | 50                        | -          | -                                                          | -                                     |
| გადახდილი პროცენტები                                         | 69                           | 124                       | -          | 34                                                         | -                                     |
| მოკლევადიანი სარგებელი -<br>ხელფასები დირექტორატი<br>(ხარჯი) | 152                          | 25                        | 527        | -                                                          | 119                                   |

2018 წლის 31 დეკემბრისა და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის ჯგუფის დამფუძნებლებთან, დირექტორთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ნაშთები:

|                                      | მაკონტრო<br>ლებელი<br>პირები | სხვა<br>დამფუძნებ<br>ლები | მენეჯმენტი | ერთობლი<br>ვი კონტრო<br>ლის ქვეშ<br>არსებული<br>კომპანიები | სხვა<br>დაკავშირებ<br>ული<br>მხარეები |
|--------------------------------------|------------------------------|---------------------------|------------|------------------------------------------------------------|---------------------------------------|
| <b>ნაშთები:</b>                      |                              |                           |            |                                                            |                                       |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები,<br>გროსი | -                            | -                         | -          | 7                                                          | 87                                    |
| შესაბამისი გაუფასურების<br>რეზერვი   | -                            | -                         | -          | -                                                          | (64)                                  |
| სავაჭრო და სხვა<br>ვალდებულებები     | -                            | 12,231                    | -          | 2,822                                                      | 29                                    |
| გადასახდელი დივიდენდები              | 76                           | 835                       | -          | -                                                          | -                                     |
| სასესხო ვალდებულებები                | 1,260                        | 2,548                     | -          | 746                                                        | 129                                   |
| გადასახდელი პროცენტი                 | -                            | 87                        | -          | -                                                          | -                                     |

17. ფინანსური ინსტრუმენტები

|                                                                     | 31.12.2020    | 31.12.2019    |
|---------------------------------------------------------------------|---------------|---------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>                                           |               |               |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                               | 111           | 206           |
| სავაჭრო დებიტორები ძირითადი საქმიანობიდან (ნეტო)                    | 329           | 784           |
| <b>სულ ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები</b>      | <b>440</b>    | <b>990</b>    |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>                                      |               |               |
| სესხები                                                             | 4,349         | 5,768         |
| მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები             | 18,541        | 18,474        |
| <b>სულ ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>22,890</b> | <b>24,242</b> |

18. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2021 წელს, შეიცვალა ჯგუფის ორივე კომპანიის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი - გენერალური დირექტორი.

2021 წელს, ჯგუფის დედა კომპანიის ერთ-ერთი მაკონტროლებელი პირის საკუთრებაში არსებული კომპანიის წილი, 46.238 პროცენტი, მართვის უფლებით გადაეცა სხვა მაკონტროლებელ პირს.

2021 წელს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან გათავისუფლდა ჯგუფის დედა კომპანიის ერთ-ერთი მაკონტროლებელი პირი და მის ნაცვლად დაინიშნა სხვა მაკონტროლებელი პირი.

2021 წელს, შპს „ახალმა ქსელებმა“ ჯგუფის დედა კომპანიამ დაგეგმა თავისი შვილობილი კომპანიის შპს „ახტელის“ შერწყმა, რისი განხორციელების ნებართვისათვის მიმართა საქართველოს კომუნიკაციის ეროვნულ კომისიას. 2021 წლის მაისში, საქართველოს კომუნიკაციის ეროვნულმა კომისიამ თანხმობა განაცხადა შერწყმის ოპერაციის განხორციელებაზე.

ბალანსის შედგენის შემდგომ, არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 28 მაისს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს “აბალი ქსელები”-ს

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება/საქმიანობის მიმოხილვა

## მმართველობითი ანგარიში

---

### 1. ჯგუფი და მისი დამფუძნებლები

შპს „ახალი ქსელები“, სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საიდენტიფიკაციო ნომერი: 211326732, მისი რეგისტრაცია განხორციელდა 1996 წლის 2 აგვისტოს და რეგისტრაციის ნომერია 5ა/4-477; მარეგისტრირებელი ორგანო: საბურთალოს რ-ნის სასამართლო.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ., №42.

კომპანიის მმართველობის ორგანოს წარმოადგენს:

- პარტნიორთა კრება
- სამეთვალყურეო საბჭო.
- ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა— დირექტორი

შპს „ახალი ქსელების“ მესაკუთრეები არიან: ფრიდონ ინჯია 46.238%; ავთანდილ იაშვილი 33.177%; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სისტემ ნეტ 10%; ვახტანგი ამაშუკელი 0.64%; ნაირა კვესელავა 1.6%; ლილი სუხიბაშვილი 4.16%; თეიმურაზ ლოღოზერიძე 0.25%; მარინა იაშვილი 0.25%; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მეკავშირე-97 3.685%;

შპს „ახტელი“ დაფუძნდა 1997 წლის ივნისის თვეში და მისი 100%-იანი წილის მფლობელია შპს „ახალი ქსელები“.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ახალი ქსელების“ ერთადერთ შვილობილ კომპანიას წარმოადგენს შპს „ახტელი“

დღეისათვის ჯგუფში შემავალი კომპანიების მართვის სტრუქტურა მოიცავს დირექტორს და დირექტორის მოადგილეებს: ფინანსურ, ტექნიკურ, სამშენებლო და კომერციულ საკითხებში. კომპანიაში დასაქმებულია 694 თანამშრომელი. კომპანია მომსახურებას ახორციელებს თბილისში სერვისცენტრების და რეიონებში— გორი კასპის; ზუგდიდი—ფოთი; ქუთაისის რეგიონალური განყოფილებების მეშვეობით, რომელთაც ხელმძღვანელობენ მენეჯერები. სერვისცენტრები და რეგიონალური განყოფილებები არ წარმოადგენენ კომპანიის ფილიალებს.

### 2. ჯგუფის საქმიანობა, მდგომარეობის მიმოხილვა

შპს „ახალი ქსელები“—ს ჯგუფში შემავალი კომპანიები წარმოადგენენ ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის კერძო ოპერატორებს საქართველოში. მათი დაფარვის ზონებია: ქ.თბილისი; ქ.ქუთაისი; ქ.ზუგდიდი; ქ.ფოთი; ქ.მარტვილი; ქ.თერჯოლა; ქ.გორი; ქ.ზესტაფონი. კომპანიას გააჩნია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზიები და ავტორიზაციები, რომლის მეშვეობითაც იგი მომხმარებელს აწვდის საკომუნიკაციო სერვისს.

ჯგუფის საქმიანობა ორ მიმართულებას მოიცავს. ესენია საცალო და სატელეკომუნიკაციო ქსელის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საბითუმო საქმიანობები:

- ფიქსირებული ქსელში ურთიერთჩართვა ზარის წამოწყება/დასრულება
- სპილენძის სააბონენტო სახაზო—საკაბელო წყვილების რესურსთან დაშვება.
- საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვება
- ინტერნეტის მომსახურების მიწოდება.

კომპანიების მიზანია უზრუნველყოს მომხმარებელი თანამედროვე, სწრაფი და ხარისხიანი სატელეკომუნიკაციო კავშირებით და შესთავაზოს მათ მრავალფეროვანი სერვისები და მომსახურების მაღალი ხარისხი.

კომპანიების ფუნქციონირების მარეგულირებელი ძირითადი ნორმატიული აქტებია:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ.

ჯგუფში შემავალ კომპანიებს, საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში გავლილი აქვთ ავტორიზაციები მომსახურების შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

- ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა
- ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა
- ძირითადი საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა
- მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის სახაზო (სადენიანი) გატარების საშუალებებითა და/ან მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული (სადენიანი) სისტემების ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა
- მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის (უსადენო) გატარების საშუალებებით უზრუნველყოფა
- საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებით უზრუნველყოფა
- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტების გაფართოებული რესურსებით უზრუნველყოფა
- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფის სხვა საქმიანობის სახეები
- ფიქსირებული საკომუნიკაციო სისტემის აბონენტების სატელეფონო ხმოვანი კავშირით მომსახურება
- ინტერნეტ მომსახურება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებების საფუძველზე, ჯგუფში შემავალი კომპანიები აღიარებულია მნიშვნელოვანი სახაზო ძალაუფლების მქონედ და დაკისრებული აქვთ სპეციფიური ვალდებულებები ბაზრის შემდეგ სეგმენტებზე:

- საკუთარი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვება და ურთიერთჩართვის სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება.
- სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსთან დაშვება.
- საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების მომსახურება.
- „Backhaul”/”Trunk” გადაცემის ქსელთან დაშვება


ჯგუფს 2020 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია რაიმე ტიპის აქციების შეძენა.

#### **შემოსავლის სახეები:**

##### **2.1 ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება**


საქართველოში ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზარზე გამოიყენებოდა სადენიანი, უსადენო და VoIP (ხმოვანი კავშირი IP პროტოკოლით) ტექნოლოგიები. 2020 წლის მონაცემებით, ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზარზე სულ 24 კომპანია ოპერირებდა. მათ შორის შპს „ახალი ქსელები“ს ჯგუფში შემავალი კომპანიები, რომელთა ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების ჯამურმა რაოდენობამ 2020 წლის ბოლოს 86492 აბონენტი შეადგინა. 2019 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 12.39%-ით, 12235 აბონენტით შემცირდა. ფიქსირებული ტელეფონიის აბონენტების, შესაბამისად - შემოსავლებისა და ტრაფიკის შემცირება, მსოფლიოში არსებული ტენდენციას, რაც უმთავრესად მობილური მომსახურებების განვითარების, ინტერნეტის ხელმისაწვდომობისა და OTT (Over-The-Top) სერვისების მოხმარების ზრდის შედეგია.

ფიქსირებული სატელეფონო ქსელის აბონენტების რაოდენობის შემცირების დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:



გამოყენებული წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ გვერდი [analytics.gncc.ge](http://analytics.gncc.ge)


გრძელდება ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების გამავალი ტრაფიკის კლების ტენდენცია.



გამოყენებული წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ გვერდი [analytics.gncc.ge](http://analytics.gncc.ge)

## 2.2 ფიქსირებული ფართოხოლოვანი ინტერნეტ მომსახურება

საქართველოში ფიქსირებული ფართოხოლოვანი ინტერნეტ მომსახურება, გასული წლების მსგავსად, სტაბილურად მზარდი ტენდენციით ხასიათდება როგორც აბონენტების რაოდენობის მხრივ, ასევე, შემოსავლების კუთხით. ვითარდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგია და იზრდება მისი სიმკვრივე აბონენტების მთლიან რაოდენობაში. თუმცა, საქართველოს ბაზარზე 2016-2017 წლებში ორი სატელეკომუნიკაციო გიგანტის ფაქტიურად დემპინგური ფასით შემოსვლამ განაპირობა, შპს „ახალი ქსელების“ ბაზრის წილის მნიშვნელოვანი დაკარგვა, რაც შეუქცევადი პროცესი აღმოჩნდა და გრძელდება მიმდინარე პერიოდშიც.



გამოყენებული წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ გვერდი [analytics.gncc.ge](http://analytics.gncc.ge)


### 3. ჯგუფის სტრატეგია და მიზნები

2020-2021 წელს განსაზღვრულია შემდეგი ძირითადი მიზნების მიღწევა:

- არსებული აბონენტების შენარჩუნება
- ახალი აბონენტების მოზიდვა
- არსებული აბონენტების ტექნოლოგიის შეცვლა (გადართვა ADSL –ტექნოლოგიიდან P2P – ტექნოლოგიაზე)
- საკუთარი აიპი ტელევიზიის პროდუქტის შექმნა და განვითარება

კომპანია სტაბილურად განაგრძობს აბონენტების შენარჩუნებისათვის საჭირო აქტივობებს. 2020 წლამდე კომპანიის ძირითადი პროდუქტებია: ფიქსირებული ტელეფონია და ინტერნეტ მომსახურება. ხოლო მაუწყებლობის ტრანზიტულ მომსახურებას ახალი ქსელების აბონენტებს 2020 წლის თებერვლის თვემდე უწყევდა პარტნიორი კომპანია. შესაბამისად, აიპი ტელევიზიის აბონენტების მოზიდვის კუთხით აქტივობა არ იყო ეფექტური. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია აქტიურად იყენებდა წამახალისებელ აქციებს, აბონენტთა სტაბილური ზრდის მიღწევა ვერ ხერხდებოდა 2018–2019 წლების განმავლობაში. 2020 წლის თებერვლის თვიდან მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება გაეშვა საკუთარი აიპი ტელევიზიის პროდუქტი, რაც მას საშუალებას მისცემდა, სრულად ემართა ბიზნეს პროცესი და მენეჯმენტს დაეგემა სხვადასხვა კომერციული შეთავაზებები აბონენტებისთვის, რაც გამოიწვევდა როგორც ცნობადობის, ისე აბონენტების რაოდენობის ზრდას. 2020 წლის მარტიდან კომპანიამ სატესტო რეჟიმში გაუშვა საკუთარი აიპი ტელევიზია, ხოლო პროდუქტის კომერციალიზაცია 2020 წლის მაისიდან მოხდა. აღნიშნულმა სიახლემ საკმაოდ წარმატებით და სწრაფად მოახერხა ბაზარზე დამკვიდრება, აგრესიული მარკეტინგული აქტივობებით, როგორც სარეკლამო, ისე გაყიდვის წამახალისებელი აქციებით, სწორი კომერციული პაკეტირებით და კონკურენტული ფასებით, რამაც კომპანიას საშუალება მისცა მოკლევადიან პერიოდში მოეზიდა აბონენტები და ფაქტობრივად დაბრუნებოდა ტელევიზიის აბონენტების საწყის მაჩვენებელს.

წარმოგიდგენთ აიპი ტელევიზიის აბონენტთა ზრდის დინამიკას 2020 წლის განმავლობაში:



გამოყენებული წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ გვერდი <https://analytics.comcom.ge/>

2020 წლის ბოლომდე კომპანია გეგმავს ტელევიზიის აბონენტების ზრდას. სატელევიზიო პროდუქტის დამატება კომპანიას ეხმარება აბონენტების შენარჩუნების მიზნის მიღწევაში და ასევე აძლევს საშუალებას, სრულფასოვანი კონკურენცია გაუწიოს ბაზრის ლიდერებს.

კომპანია აქტიურად განაგრძობს ინტერნეტ ტექნოლოგიის განახლების სტრატეგიას და აბონენტების სრულად გადაყვანას P2P უახლეს ტექნოლოგიაზე. 2020 წლის მდგომარეობით შპს „ახალი ქსელების“ ჯგუფის ინტერნეტ მომხმარებლების კონსოლიდირებული რაოდენობის განაწილება ტექნოლოგიების მიხედვით შემდეგია: DSL-10%; FTTB-1%; Gpon-17%; P2P-72%.



გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ახალი კორონავირუსი საკმაოდ დიდ ზეგავლენას ახდენს ბაზარზე აბონენტთა მსყიდველობით შესაძლებლობებაზე, რაც აისახება კომპანიის შემოსავლებზე, გარდა ამისა დიდია გარე ეკონომიკური ფაქტორების გავლენა მოსალოდნელ შემოსავლებსა და ხარჯებზე, რაც რისკის ქვეშ აყენებს კომპანიის დაგეგმილი მაჩვენებლების 100%-იან შესრულებას.

კომპანია 2021-2022 წლებში გეგმავს ძლიერი და მიზანმიმართული მარკეტინგული პოლიტიკის გატარებას, რაც უზრუნველყოფს არსებული, თუ პოტენციური მომხმარებელთა მოთხოვნის შესაბამისი ახალი პროდუქტების შექმნას, არსებული პროდუქტების სრულყოფას და მომსახურების ხარისხის დონის ამაღლებას. გარდა ამისა, კომპანია აქტიურად განიხილავს მარეგულირებელი ორგანოს მიერ დაანონსებული ვირტუალური მობილური ოპერატორის ბაზარზე შესვლას, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე კონკრეტული რეგულაციები და ბაზარზე დადგენილი თამაშის წესები არ არის განსაზღვრული, რაც კომპანიას არ აძლევს საშუალებას შეიმუშაოს კონკრეტული სტრატეგია ამ მიმართულებით. შესაბამისად ჯანსაღი კონკურენციის პირობებში და სწორი სატარიფო პოლიტიკის გატარებით, კომპანია შეძლებს მისი საქმიანობის ძირითადი მიზნების მიღწევას.

2021 წელს, შპს „ახალმა ქსელები“ გეგმავს თავისი შვილობილი კომპანიის შპს „ახტელის“ შემოერთებას. შერწყმის განხორციელების ნებართვისათვის შპს „ახალმა ქსელებმა“ მიმართა საქართველოს კომუნიკაციის ეროვნულ კომისიას. 2021 წლის მაისში, საქართველოს კომუნიკაციის ეროვნულმა კომისიამ თანხმობა განაცხადა შერწყმის ოპერაციის განხორციელებაზე.

#### 4. ჯგუფში შემავალი კომპანიების რისკები

გარკვეული რისკების, ერთი შეხედვით, კლების პარალელურად, ახალი რისკები ჯერ კიდევ ჩნდება. ცვლილებები პოლიტიკურ, საქმიან და ეკონომიკურ სფეროში ახალი რისკების გაჩენას იწვევს, ამიტომ სატელეკომუნიკაციო სფერო უნდა ადაპტირდეს სწრაფად ცვალებად საბაზრო მოთხოვნებთან და ტექნოლოგიური ინოვაციების ასევე გაზრდილ ტემპებთან მიმართებაში. სატელეკომუნიკაციო სფეროს დამახასიათებელი რისკების მართვის მიზნით, საჭიროა საკუთარი ფასეულობების განახლების და გაფართოების გზების ძიება.

სფეროს დამახასიათებელი რისკები დაკავშირებულია ციფრულ ტრანსფორმაციასთან, მარეგულირებელ ვალდებულებასთან, კიბერომების ზრდასთან, მაკროეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვალებადობასთან, ინფრასტრუქტურაში განხორციელებულ ინვესტიციებთან, რომელიც მიმდინარე პერიოდშიც აქტუალურია. თუმცა, ამის პარალელურად ჩნდება ახალი რისკები. 2020 წელს დაფიქსირებული ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები, რომელიც ტელეკომუნიკაციების და კავშირგაბმულობის სფეროსთვის და მათ შორის ჯგუფისათვის ქსელებისთვის რელევანტურია შემდეგია:

1. სავალუტო რისკი
2. კლებადი კონკურენციის რისკი
3. ახალი ტექნოლოგიების გაჩენა
4. ლიკვიდობის რისკი
5. საკრედიტო რისკი

##### 4.1 სავალუტო რისკი

ჯგუფის ფუნქციონირებისთვის საჭირო ძირითადი მასალების შეძენა ხდება უცხოური კომპანიებისგან. ასევე, კომუნიკაციების სფეროს განვითარების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული აპარატურის, მოწყობილობების და პროგრამების შექმნა და წარმოება დამოკიდებულია იმპორტულ კომპანიებზე. შესაბამისად უცხოური ვალუტის ზრდა ეროვნულთან მიმართებაში ზრდის პროდუქციის ღირებულებას.

მაუწყებლობის ტრანზიტულ მომსახურებასთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებები, ასევე, განსაზღვრულია უცხოურ ვალუტაში.

ძირითადი უცხოური ვალუტა, რომელთან მიმართებაშიც ხდება კომპანიისთვის საჭირო ხარჯების განხორციელება წარმოადგენს, ევროს და ა.შ.შ დოლარს.

თუ დავაკვირდებით ამ ვალუტის კურსის ცვლის სტატისტიკას, აღნიშნული სავალუტო რისკი გარდაუვალია.

ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსები

|                              |                                    |
|------------------------------|------------------------------------|
| 1 ევრო = 3,0597 (01.01.2019) | 1 აშშ დოლარი = 2,6727 (01.01.2019) |
| 1 ევრო = 3,2143 (01.01.2020) | 1 აშშ დოლარი = 2,8661 (01.01.2020) |
| 1 ევრო = 4,0233 (01.01.2021) | 1 აშშ დოლარი = 3,2766 (01.01.2021) |

სავალუტო რისკებისგან დაზღვევა:

- ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულების, რომელიც დაფიქსირებულია უცხოურ ვალუტაში, გალარება;

- წინასწარ, ვალუტის კურსის მაქსიმალური მაჩვენებლის პირობებში, განსახორციელებელი პროექტების დაგეგმვა.

#### 4.2 კლებადი კონკურენციის რისკი

2017 წლიდან საქართველოში ინტერნეტ და სატელევიზიო ბაზარზე კონკურენცია კლებულობს. დღეს კავშირგაბმულობის ბაზარზე მრავალი მომხმარებლის მოთხოვნას აკმაყოფილებს მხოლოდ ორი დიდი ოპერატორი (მაგთიკომი და სილქნეტი). ისინი აწარმოებენ ერთგვაროვან ან დიფერენცირებულ პროდუქტს; აღნიშნულ ბაზარზე შედგება სულ უფრო და უფრო გართულებულია, რაც წარმოშობს ამ ორი კომპანიისთვის მონოპოლიური მოგების მიღების ობიექტურ საფუძველს. მოლაპარაკების ან თამაშის თეორიული სტრატეგიის გზით ამ ორ სუბიექტს შეუძლიათ ფასებისა და შემოთავაზებული საქონლის ხარისხის გაკონტროლება. ეს გარემოება კი აღარ აძლევს პატარა ოპერატორებს განვითარების საშუალებას.

#### 4.3 ახალი ტექნოლოგიების გაჩენის რისკი

თანამედროვე მსოფლიო ცხოვრობს უდიდესი ტექნოლოგიური ძვრების პირობებში. ახალი ტექნოლოგიების გაჩენის სიჩქარე იზრდება. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, „ბლოკჩეინმა“, „მობილურმა გადახდებმა, ინტერნეტ საგნებმა, „დრუბლოვანმა სივრცეებმა“, ავტონომიურმა მანქანებმა და 5G ქსელებმა წარმოადგინეს ახალი შესაძლებლობები და რისკები ტელეკომუნიკაციებისათვის. ტექნოლოგიური ინოვაციების სიჩქარე ზრდის ზეწოლას არამარტო ისეთ კომპანიაზე როგორც ჩვენ ვართ, არამედ მსხვილ ოპერატორებზეც.

ახალი ტექნოლოგიების მოსვლისთანავე, ბიზნესმა, რომელიც ცდილობს დარჩეს შესაბამისი, უნდა გამოიყენოს თავისი გარდამქმნელი ხასიათი, რომ შექმნას ახალი შემოსავლის ნაკადები. ტექნოლოგიების ინტეგრირებას და განვითარებას შესაძლოა ხელი შეუწყოს მხოლოდ ერთეულმა კომპანიებმა, რაც ასევე, რისკია ჩვენი კომპანიისთვის.

#### 4.4 ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის ჯგუფის რისკი გაისტუმროს ვალდებულებები დათქმულ ვადაში მნიშვნელოვანი მოულოდნელი დანაკარგების გარეშე.

აღნიშნული რისკის შესამცირებლად და სამართვად კომპანია წლის დასაწყისში ადგენს წლის განმავლობაში მოსალოდნელი ფულადი სახსრების ბრუნვის ანგარიშს, რომლის ფაქტიური მონიტორინგი ხდება ყოველკვირეულად, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ წარმოქმნილი პრობლემები გადაიჭრას მანამ, ვიდრე ისინი სერიოზულ სირთულეებს შეუქმნიან კომპანიას.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანია გადაწყვეტს ბიზნეს ოპერაციების, მომსახურების პორტფელისა და პროდუქტის მუშაობის გაფართოებას, საჭირო გახდება დიდი ფულადი სახსრების მობილიზება, რასაც კომპანია გრძელვადიანი ან მოკლევადიანი სესხით მოაგვარებს.

#### 4.5 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი კომპანიისთვის არის კონტრაგენტის მიერ– ძირითადად აბონენტების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული რისკი. ასევე ურთიერთჩართვის ოპერატორებისგან და სხვა საბითუმო მომსახურების მიმღები მომხმარებლებისგან ვალდებულებების შეუსრულებლობით ან გაკოტრებით გამოწვეული რისკი.

საკრედიტო რისკისგან თავის დაცვის მიზნით, კომპანია თითქმის სრულად გადავიდა საავანსო გადახდის სისტემაზე, თუმცა აღნიშნული რისკის ხარისხობრივად მაღალი მაჩვენებელია იმ კატეგორიის აბონენტებთან მიმართებაში, ვინც მხოლოდ სატელეფონო მომსახურებით სარგებლობს და ანგარიშსწორებას ახორციელებს მომსახურების მიღების შემდეგ. თუმცა კომპანია ახდენს ამ ტიპის აბონენტების მონიტორინგს ყოველდღიურად და ხდება მათი ინფორმირება მიმდინარე დავალიანებების შესახებ.

#### 5. ჯგუფში შემავალი კომპანიის თანამშრომლები, უსაფრთხოების და გარემოს დაცვა.

ჯგუფში შემავალი კომპანიების მართვის სტრუქტურა მოიცავს დირექტორს და დირექტორის მოადგილეებს: ფინანსურ, ტექნიკურ, სამშენებლო და კომერციულ საკითხებში. კომპანიაში დასაქმებულია 694 თანამშრომელი. მათ შორის ქალების რაოდენობა შეადგენს 206 თანამშრომელს. მამაკაცების რაოდენობის სიჭარბე აიხსნება დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ კომპანიაში მაღალია ქალების რაოდენობა მენეჯერულ პოზიციებზე. ასევე, საკმაოდ მაღალია მათი რაოდენობა ქოლცენტრის და აბონენტთა მომსახურების განყოფილებებში.

ჯგუფი მნიშვნელოვან როლს ანიჭებს და პრიორიტეტად აქვს დასახული როგორც დასაქმებულების, ასევე აბონენტების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები. კომპანია ზრუნავს მომხმარებლების უსაფრთხოებაზე და უზურნველყოფს უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოს. ამის მიღწევა ხდება სამუშაო პროცესების სწორად მართვით; მენეჯმენტის და დასაქმებულების ურთიერთთანამშრომლობით. კომპანიის მენეჯმენტი მიისწრაფის მიმდინარე სამუშაო პროცესებისა და სამუშაო გარემოს უსაფრთხოების გაუმჯობესებისკენ. ამ მიზნით კომპანია ახორციელებს არაერთ პროაქტიულ ღონისძიებას და მუდმივ რეჟიმში აწარმოებს სამუშაო პროცესის მონიტორინგსა და კონტროლს. ეს მიდგომა ხელს უწყობს კომპანიაში შრომის უსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. კომპანიის მენეჯმენტი ადასტურებს თავის ვალდებულებას დაიცვას საქართველოს შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონი და სხვა შესაბამისი რეგულაციები.

გარემოს დაცვა მთელ მსოფლიოში აქტუალური პრობლემაა, რადგან დღეს, ყველა შეგნებულ ადამიანს გააზრებული აქვს ის, რომ სუფთა გარემო, ჩვენი და ჩვენი შთამომავლობის ჯანსაღი მომავალია! შპს „ახალი ქსელები“სა ჯგუფში შემაგალი კომპანიები ხელს უწყობენ გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბებას თავის თანამშრომლებში, რათა მათ გააკეთონ სწორი არჩევანი და მონაწილეობა მიიღონ გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესების საქმეში. გარემოსდაცვითი განათლება მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქისთვის, ვინაიდან ის აყალიბებს გარემოსდაცვით შეგნებას, ღირებულებებს და უნარ-ჩვევებს.

ჯგუფი ახორციელებს თავის ეკონომიკურ საქმიანობას გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებით

#### **6. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებები**

ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ჯგუფის მენეჯმენტი თვლის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ სჭირდება დამატებითი ახსნა-განმარტებები.

2020 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ.

დირექტორი

ილია ინჯია \_\_\_\_\_

28 მაისი 2021 წელი

შპს „ახალი ქსელები“ კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ჯგუფი მნიშვნელოვან როლს ანიჭებს და პრიორიტეტად აქვს დასახული როგორც დასაქმებულების, ასევე აბონენტების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები. კომპანია ზრუნავს მომხმარებლების უსაფრთხოებაზე და უზურნველყოფს უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოს. ამის მიღწევა ხდება სამუშაო პროცესების სწორად მართვით; მენეჯმენტის და დასაქმებულების ურთიერთთანამშრომლობით. კომპანიის მენეჯმენტი მიისწრაფის მიმდინარე სამუშაო პროცესებისა და სამუშაო გარემოს უსაფრთხოების გაუმჯობესებისკენ. ამ მიზნით კომპანია ახორციელებს არაერთ პროაქტიულ ღონისძიებას და მუდმივ რეჟიმში აწარმოებს სამუშაო პროცესის მონიტორინგსა და კონტროლს. ეს მიდგომა ხელს უწყობს კომპანიაში შრომის უსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. კომპანიის მენეჯმენტი ადასტურებს თავის ვალდებულებას დაიცვას საქართველოს შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონი და სხვა შესაბამისი რეგულაციები.

გარემოს დაცვა მთელ მსოფლიოში აქტუალური პრობლემაა, რადგან დღეს, ყველა შეგნებულ ადამიანს გააზრებული აქვს ის, რომ სუფთა გარემო, ჩვენი და ჩვენი შთამომავლობის ჯანსაღი მომავალია! შპს „ახალი ქსელები“სა ჯგუფში შემავალი კომპანიები ხელს უწყობენ გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბებას თავის თანამშრომლებში, რათა მათ გააკეთონ სწორი არჩევანი და მონაწილეობა მიიღონ გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესების საქმეში. გარემოსდაცვითი განათლება მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქისთვის, ვინაიდან ის აყალიბებს გარემოსდაცვით შეგნებას, ღირებულებებს და უნარ-ჩვევებს.

ჯგუფი ახორციელებს თავის ეკონომიკურ საქმიანობას გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებით

#### 6. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებები

ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ჯგუფის მენეჯმენტი თვლის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ სჭირდება დამატებითი ახსნა-განმარტებები.

2020 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ.

დირექტორი

ილია ინჯია

28 მაისი 2021 წელი



#### **About Baker Tilly**

Baker Tilly is a full-service accounting and advisory firm that offers industry specialised services in assurance, tax and advisory.

Baker Tilly Georgia LLC trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.



#### **Contact us**

Baker Tilly Georgia LLC  
BC Menteshvili Rows  
Tbilisi 0105, Georgia  
7 Bambis Rigi Street  
office@bakertilly.ge  
T: +995 032 2 483 999  
[www.bakertilly.ge](http://www.bakertilly.ge)